

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 11 თვის
შესრულების მიმოხილვა

2020 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების ანგარიშში

**მცხეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის
ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების (11 თვის ფაქტით)
შესახებ**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებთან ერთად შეადგინა 30,465.9 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა 11 თვის ფაქტით შეადგინა 31,139.8 ათ. ლარი, რაც გეგმის 102.2 %-ია.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების მიხედვით მობილიზებულ იქნა **28,282.0** ათ.ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის **29,465.9** ათ. ლარის 96.0%-ია.

გადასახადებიდან 11 თვის ფაქტით მობილიზებულ იქნა **15,384.9** ათ.ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის **14,908.0** ათ.ლარის 103.2%-ია.

(ათ.ლარი)

დასახელება	2020 წ. გეგმა	2020 წ. ფაქტი 11 თვე
გადასახადები	14,231.3	16,034.2
ქონების გადასახადი	10,500.0	11,203.3
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7,650.0	7,785.5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	245.0	652.3
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	320.0	325.8
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,285.0	2,439.7
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,408.0	4,181.6

გრანტები საანგარიშო პერიოდში გამოყოფილია **8,250.5** ათ.ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის **10,357.9** ათ.ლარის 80.0 %-ია.

(ათ.ლარი)

დასახელება	2020 წ. გეგმა	2020 წ. ფაქტი 11 თვე
გრანტები	10,357.9	8,250.5
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	146.4
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10,357.9	8,104.1

სხვა შემოსავლებიდან 2020 წლის 11 თვის ფაქტით მოზილიზებულ იქნა 4,646.6 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის - 4,200.0 ათ.ლარის 110.6 .0% -ია.

(ათ.ლარი)

დასახელება	2020 წ. გეგმა	2020 წ. ფაქტი 11 თვე
სხვა შემოსავლები	4,200.0	4,646.6
შემოსავლები საკუთრებიდან	1,450.0	2,098.5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	600.0	597.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2,100.0	1,901.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	50.0	50.1

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2020 წლის 11 თვის ფაქტით მოზილიზებულ იქნა 2,857.8 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 1,000.0 ათ.ლარის 285.8 % -ია.

(ათ.ლარი)

დასახელება	2020 წ. გეგმა	2020 წ. ფაქტი 11 თვე
არაფინანსური აქტივების კლება	1,000.0	2,857.8
ძირითადი აქტივები	200.0	234.0
არაწარმოებული აქტივები	800.0	2,623.8

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვრა 21,179.1 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრები წლის განმავლობაში დაზუსტდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 42,394.7 ათასი ლარი. აქედან: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებია - 11,408.9 ათ.ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია - 30,985.8 ათ.ლარი.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში გადასახდელების ფაქტიური შესრულება შეადგენს 26,597.1 ათ.ლარს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის ფაქტით პრიორიტეტების დაფინანსებაზე მიიმართა:

- 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4,675.6 ათასი ლარი;
- 02 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 11,615.9 ათასი ლარი;
- 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1,648,6 ათასი ლარი;
- 04 00 განათლება - 4,260.0 ათასი ლარი;
- 05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 3,206.5 ათასი ლარი;
- 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,190.6 ათასი ლარი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის ფაქტით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - დაფინანსდა 6,837.9 ათ.ლარით;

სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - დაფინანსდა 989.4 ათ.ლარით;

საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - დაფინანსდა 76.5 ათ.ლარით;

გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია - დაფინანსდა 25.1 ათ.ლარით;

მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - დაფინანსდა 388.6 ათ.ლარით;

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (სკვერები და მოსაცდელეები) - დაფინანსდა 308.2 ათ.ლარით;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - დაფინანსდა 829.9 ათ.ლარით;

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - დაფინანსდა 542.5 ათ.ლარით;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - დაფინანსდა 127.2 ათ.ლარით;

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა - დაფინანსდა 422.0 ათ.ლარით;

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - დაფინანსდა 773.8 ათ.ლარით;

კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - დაფინანსდა 280.5 ათ.ლარით;

ასევე დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები :

გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება - დაფინანსდა 411.3 ათ.ლარით;

სადღესასწაულო ღონისძიებები - დაფინანსდა 50.2 ათ.ლარით;

მწვანე ნარგავების გაშენება - დაფინანსდა 194.0 ათ.ლარით;

ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა - დაფინანსდა 513.5 ათ.ლარით;

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის ფაქტით დაფინანსდა სოციალური პროგრამები:

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა **180.0** ათ.ლარი. მეოთხე და მეტი შვილის შექმნის შემთხვევაში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 12 ოჯახზე - თითოეულ ბავშვზე 200-200 ლარის ოდენობით; აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 3 არსრულწლოვან ბენეფიციარზე გაიცა ფინანსური დახმარება 250 ლარი თითო ბენეფიციარზე კვარტალში ერთხელ; აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ორ არასრულწლოვან ბენეფიციარზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან სპეციალიზებულ დაწესებულებებში (ე.წ. დღისცენტრი) ყოველთვიურად გაიცა ფინანსური დახმარება 73-73 ლარი; ცელიაკით დაავადებულ 3 ბენეფიციარს გაეწიათ ფინანსური დახმარება - 2.3 ათასი ლარი; ხანძრის შედეგად დაზარალებულ ექვს ბენეფიციარს გაეწია ფინანსური დახმარება საერთო თანხით 20.0 ათასი ლარი, დაზარალებულთა ოჯახები მუნიციპალიტეტის მიერ გაყვანილ იქნენ ქირით; ასევე დაფინანსდა სკოლამდელი ასაკის და შშმ ბავშვების ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა.

- **სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება** - აღნიშნული მიზნით მიიმართა 494.2 ათასი ლარი, ამასთან გაცემული საგარანტიო წერილების მთლიანმა თანხამ შეადგინა 614.5 ათასი ლარი, სულ დაკმაყოფილდა 829 ბენეფიციარი.

- **ერთჯერადი სოციალური დახმარება** - აღნიშნული მიზნით მიიმართა 50.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 60.0 ათ. ლარის 85.0 % -ს შეადგენს; დაკმაყოფილდა 499 ბენეფიციარი. მათ შორის მეორე მსოფლიო ომის 3 მონაწილე - 9 მაისის დღესთან დაკავშირებით - 1.2 ათასი ლარით;

- **სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება** - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1.0 ათასი ლარი (3 ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯი).

- **დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება** - აღნიშნული მიზნით მიიმართა 27.0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 29.1 ათ. ლარის 93.0 % -ს შეადგენს. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე 25 ბენეფიციარს ეძლევათ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით;

- **მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება** - აღნიშნული მიზნით მიიმართა 67.5 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 75.0 ათ. ლარის 90.0 % -ს შეადგენს. ამ პროგრამით სარგებლობს 43 ბენეფიციარი.

- **ჯანდაცვის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა** - აღნიშნული მიზნით მიიმართა 114.1 ათასი ლარი.

მიმდინარე პერიოდის ა(ა) იპ-ების და შპს-ეს დაფინანსება:

ათას ლარში

N	დასახელება	2020 წ. გეგმა	2020 წ 11 თვის ფაქტი
1	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"	1,706.0	1,633.8

2	ა(ა)იპ " მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"	4,400.0	3,324.5
3	ა(ა)იპ " მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი"	940.0	802.8
4	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა"	200.0	171.7
5	ა(ა)იპ "გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის ნიჟოსნობის აკადემია"	212.0	170.3
6	ა(ა)იპ "უმადლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა"	300.0	239.1
7	ა(ა)იპ "სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"	167.9	131.2
8	ა(ა)იპ "მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი"	500.0	421.4
9	ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"	212.0	173.7
10	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	223.8	199.1
11	ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობა მოკლებულთათვის"	75.0	67.5
12	ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება"	70.7	56.9
1	შპს "მცხეთის სოფწყალი"	900.0	890.0
	სულ:	9,907.4	8,282.0

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების ანგარიში

03.01.2020-11.12.2020

შესყიდვების განყოფილება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და [სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“](#). სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება, როგორც გამარტივებული ასევე ელექტრონული შესყიდვით. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებია: ელექტრონული ტენდერი და კონსოლიდირებული ტენდერი.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა 140 ელექტრონული ტენდერი, (მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები, პრეტენდენტის მიერ ატვირთული დოკუმენტაციის შერჩევა შეფასება, ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ხელწერილის მომზადება, წერილების და ხელშეკრულების პროექტის მომზადება) მათ შორის: 6 ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით (ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია), 10 ტენდერი არ შედგა (ტენდერში არ მიიღო არავინ მონაწილეობა), 8 ტენდერი შეწყდა, 116 ტენდერზე გაფორმდა ხელშეკრულება.

1. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 110 ხელშეკრულება.
2. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ გაფორმდა 48 ხელშეკრულება.
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 32 ხელშეკრულება.
4. მომზადდა 280 წერილი.
5. გაფორმდა და ელექტრონულად აიტვირთა 160 ხელშეკრულების დანართი-შეთანხმება (თანდართული დოკუმენტაციით).
6. გაფორმდა 75 ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტი.
7. მომზადდა შესყიდვების გეგმის 30 პროექტი თანდართული დოკუმენტაციით (ცხრილები, გეგმის პროექტი, მიმართვა, განმარტებითი ბარათი, რომელიც შემდგომ ელექტრონულად აიტვირთა PLAN-ში.
8. ელექტრონულად აიტვირთა CMR-ზე 300 ხელშეკრულების დოკუმენტაცია (ფორმა N2 -ები, მიღება-ჩაბარების აქტები, ექსპერტიზის დასკვნები, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშფაქტურა, შესრულებული სამუშაოს ფოტო სურათები.)
9. მომზადდა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 45 ბრძანების პროექტი.